

მეწყერი ზამთარში - სპეციალისტები ამას არ ელოდნენ

„რადგან წელს ძალიან რთული ზამთარი იყო, შესაბამისად, ძალიან ბევრ რეგიონში და სოფელში ველოდებით მეწყერის გააქტიურებას“

ლანა ბერიძე

ცაგერის რაიონის სოფელ ლარჩვანში ჩამოწოლილი მეწყერის გამო ოთხი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. ამავე სოფლის კიდევ ერთ ნაწილში მიწა მოწყვეტილი და 16 სახლი კვლავ სახიფათო მდგომარეობაში რჩება. გეოლოგების რეკომენდაციით, აღნიშნული 4 ოჯახი უკვე ევაკუირებულია, რაც შეეხება დანარჩენ 16 ოჯახს, ისინი ჯერჯერობით მონიტორინგის ქვეშ რჩებიან, თუმცა საფრთხე მაინც დიდია.

აღსანიშნავია, რომ გეოლოგები ამ ეტაპზე მეწყერის მოვარდნას არ ვარაუდობდნენ, რადგან როგორც წესი, მეწყერი გაზაფხულობით, კონკრეტულად მარტიდან აქტიურდება ხლამე. თუმცა, როგორც გეოლოგებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რთულია ბუნების სრულად პროგნოზირება.

„რეზონანსი“ მოსალოდნელი მეწყერების შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის

გეოლოგიური სამსახურის უფროსს, ემილ წერეთელს ესაუბრა. მისი განცხადებით, გამოძინარე იქიდან, რომ წლევანდელი ზამთარი წინაზე რთული ზამთარი იყო, მეწყერების გააქტიურების საფრთხეც უფრო მაღალია.

„ცაგერის რაიონის გარდა, ძალიან ბევრ რაიონს ელოდება კიდევ მეწყერი. ჩვენ სწორედ ახლა ვმუშაობთ კონკრეტული სოფლების გეოლოგიურ პროგნოზებზე, ვადგენთ, როგორია გეოლოგიური გარემოს მგძობიარობა წელს. რადგან წელს ძალიან რთული ზამთარი იყო, შესაბამისად, ძალიან ბევრ რეგიონში და სოფელში ველოდებით მეწყერის გააქტიურებას. ჩვენი სამსახური სწორედ ახლა მუშაობს ამ გეგმაზე და მაქსიმუმ 10 დღეში ყველა რეგიონს გადავცემთ დეტალურ პროგნოზს, თუ სად, რომელ სოფელში რა სიმძლავრის მეწყერის მოსალოდნელი“, - განაცხადა „რეზონანსთან“ საუბრისას ემილ წერეთელმა.

მისივე თქმით, მარტიდან მაღალი რისკის ზონებში რჩება რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

„გურიაში უკვე დაწყებულია მეწყერის გააქტიურების პროცესი და ველოდებით კიდევ უფრო გააქტიურებას. კონკრეტული სოფლების სახელებს 10 დღეში მოგაწვდით. სამეგრელოშიც დაიწყო ეს პროცესი, თუმცა, ჯერჯერობით მაინც ტესტირების მდგომარეობაა. ჩვენ გაზაფხულის უფრო გვეწინია, რადგან მარტიდან უფრო მაღალია მეწყერების გააქტიურების საშიშროება.“

„ზოგადად შემიძლია გითხრა, რომ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოქცეულია მეწყერისაში ზონაში“, - ამბობს ემილ წერეთელი.

რაც შეეხება უშუალოდ ცაგერის რაიონში მომხდარ ფაქტს, ამის შესახებ „რეზონანსი“ გარემოს დაცვის სამინისტროს გეოლო-

გიური სამსახურის თანამშრომელს ვლადიმერ გვაძაბია ესაუბრა, რომელიც ჩვენი საუბრისას უშუალოდ სოფელ ლარჩვანში იმყოფებოდა.

ვლადიმერ გვაძაბია: „რამდენიმე დღეა უკვე აქ ვარ. სიტუაცია საკმაოდ რთულია, ჩვენ ასეთ ვითარებას ზამთრის პერიოდში არ ველოდებოდით. მომზადებული ვიყავით გაზაფხულისთვის, რადგან, მოგეხსენებათ, მეწყერის გააქტიურების მხრივ გაზაფხული ყველაზე საშიში სეზონია.“

„რეზონანსი“: რა ვითარებაა ამ ეტაპზე სოფელ ლარჩვანში?

გვ: „საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის, მაგრამ 4 ოჯახი უკვე ევაკუირებულია, ეს სახლები უნდა დამალვოს, აქ ადამიანების ცხოვრება წარმოუდგენელია, რადგან ხვალ, ზეგ თავისით შეიძლება დაიშალოს. დანარჩენი 16 ოჯახი მაღალი რისკის ზონაში რჩება. ჯერჯერობით ველოდებით თოვლის საფარის დადნობას, რომელიც ნახევარ მეტრს აღემატება და ამიტომაც ვერ შევძელით ზუსტად სიტუაციის განსაზღვრა.“

„წლებია, ამ რეგიონში ვმუშაობ, ვიცნობ ნიადაგს, შესაბამისად, როგორც კი თოვლის საფარი დადნება, ჩვენ მივცემთ რეკომენდაციას რეგიონის ხელმძღვანელობას მეწყერისა და მდებარე ღონისივების ჩასატარებლად, მაგრამ, ბუნებრივია, ამ სამუშაოების ჩატარებას ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გაწვდება, ამიტომ სახელმწიფო დახმარება იქნება საჭირო.“

„ასევე საშიშროება ელოდება ლენტეხი-ცაგერი-ქუთაისის ცენტრალურ ტრასასაც, მაგრამ ჩვენ ამ ეტაპზე ვაკონტროლებთ სიტუაციას. თუმცა, გაზაფხულზე, როდესაც მეწყერი კიდევ უფრო გააქტიურდება, აუცილებელია მეწყერისა და ღონისივების გატარება. კონკრეტულად რა სამუ-

შობი უნდა ჩატარდეს, ამას თოვლის საფარის დადნობის შემდეგ დავადგენთ.“

„რ“: რა ბედი ელის იმ 16 ოჯახს, რომელიც მეწყერისაში ზონაში რჩება?

გვ: „ჯერჯერობით ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას, მონიტორინგზე გვყავას აყვანილი რაჭა-ლეჩხუმის რაიონი და უშუალოდ ცაგერის რაიონის სოფელი ლარჩვანი. ეს 16 ოჯახი მუდმივად კონტროლის ქვეშაა, სოფელიც მობილიზებულია და გამგეობაც. დანარჩენზე კი თოვლის საფარის დადნობის შემდეგ ვიფიქრებთ. მანამდე უბრალოდ შეუძლებელია რაიმე სამუშაოს ჩატარება. ჯერჯერობით ჩვენ ამ 16 ოჯახს ვინარჩუნებთ. პირველ რიგში ამ 4 ოჯახს ჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, ხოლო 16 ოჯახს, მათ საკარმიდამო მიწას და ცენტრალურ გზას ეაკონტროლებთ და გაზაფხულამდე გაეკეთებთ ყველაფერს საიმისოდ, რომ ამ ოჯახებმა ეს პროცესი უმტკივნეულოდ გადაიტანონ.“

„რ“: მეწყერი თოვლის საფარის დადნობამდე რომ ჩამოწყვეს?

გვ: „მარტამდე ეს საფრთხე არ არის ძალიან დიდი, რადგან ამ ოჯახებზე მუდმივ დაკვირვებას და მონიტორინგს ვაწარმოებთ. თუ რაიმე საშიშროება შეიქმნა, დაუყოვნებლივ მივიღებთ ზომებს. ამ ეტაპზე კი მათი ევაკუირება არ არის საჭირო, შეუძლიათ ჯერ იცხოვრონ ამ სახლებში, ამას როგორც სპეციალისტი გეუბნებით და დამეჯერება. ნამდვილად არ აქვს ამ 16 ოჯახს ჯერჯერობით ევაკუირების საჭიროება.“

ლარჩვანის დაზარალებული მოსახლეობა რაჭა-ლეჩხუმ - ქვემო სვანეთის გუბერნატორმა დავით გავრშიძემაც მოინახულა, მისი განცხადებით, სახელმწიფო და გამგეობა დაეხმარება ყველა ოჯახს, რომლებიც გადასახლებას ექვემდებარება.

3 თებერვლის კაპტროს პას უსი

34	14	24	5	20	7	3	4						
2	1	2	3	1	2	3	2	1	3				
3	5	6	1	2	3	4	5	6	3	2	1		
10	1	6	4	2	3	7	1	8	2	7	5	10	
7	2	4	1	2	3	6	2	8	9	9	8	4	
3	8	3	9	7	4	1	5	8	3	2	1		
8	1	7	2	5	1	3	4	2	1	3	2		
11	2	3	5	1	4	1	5	1	9	4	3	2	1
3	9	6	1	7	2	3	10	3	7				
31	8	5	3	9	6	3	1	2					